პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 19 (5049)

1974 წ. 27 იანვარი, კვირა, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

შაიბიანი ჰოკეის ოსტატთა საკავშირო ჩემპიონატში წარმატებით გამოდის მოსკოვის „კრილია სავეტოვის" გუნდი, რომელიც დამაჯერებლად [illegible] რად უსწრებს [illegible] ებს: ცსკა-სა და მოსკოვის „დინამოს". უკანასკნელ ტურში „კრილია სავეტოვმა" ანგარიშით 7:3 დაამარცხა ცსკა.

* * *

სურათზე: თქვენ ხედავთ „კრილია სოვეტოვისა" და მოსკოვის „სპარტაკის" შეხვედრის მომენტს, რომელშიც ლიდერებმა დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმეს — 5:1.

ვ. ქრისტოფოროვის ფოტო (საქდესი).






# მხოლოდ 0,02 წამით

ბაკურიანი, 25 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს აქ, კოხტაგორის ფერდობებზე, სტარტი აიღო სამთო-სათხილამურო თასის გათამაშების მორიგი ეტაპის შეჯიბრებამ გაზეთ „ლელოს" პრიზზე. სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის მონაწილეებისთვის ეს ასპარეზობა ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი წინასწარი ტურნირია. საქმე ისაა, რომ თვეზე ცოტა მეტი ხნის მერე სწორედ აქ გაიმართება ბრძოლა სპარტაკიადის ჩემპიონობისთვის. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ბაკურიანში ყველა სპორტსაზოგადოებისა და უწყების გუნდებს ვიხილავდით სარბიელზე, მაგრამ სტარტის წინ გამოირკვა, რომ ისინი ამ შეჯიბრებით თურმე დიდად არ არიან დაინტერესებული, ვინაიდან ხალხთა სპარტაკიადაში მონაწილეობა უნდა მიიღონ მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებმა გუნდებმა.

და მაინც, „ლელოს" პრიზის გათამაშებამ თავი საკმაოდ ძლიერ შემადგენლობას მოუყარა. მონაწილეთა შორის იყვნენ ამას წინათ ალმა-ათაში „ვერცხლის ედელვაისის" პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში გამარჯვებულნიც.

სტარტამდე ბაკურიანში ორ დღეს თოვდა. მსაჯთა კოლეგიას თოვლის ახალმა საფარმა ახალი საზრუნავი გაუჩინა. გიგანტური სლალომის 1850-მეტრიანი ტრასის (სიმაღლეთა სხვაობა 330 მ, 46 კარი) თავიდან დატკეპნა და საასპარეზოდ მოწყობა ხუმრობა არ არის, მაგრამ მსაჯებმა (მთავარი მსაჯი — საკავშირო კატეგორიის მსაჯი ი. ოგანეზოვი) ამოცანას თავი წარმატებით გაართვეს და ვაჟთა შეჯიბრებაც დროულად დაიწყო.

წინადღით მონაწილეთა კენჭისყრა წარსული შედეგების მიხედვით შედგენილი კლასიფიკაციით მოეწყო. პირველ ჯგუფში თავი მოიყარეს იმ სპორტსმენებმა, რომლებსაც გასულ სეზონში სპორტის ამ სახეობაში მაღალი, სტაბილური მაჩვენებლები ჰქონდათ. მათგან, როგორც წესია, შედგა 15-კაციანი ჯგუფი. ამავე პრინციპით შეიქმნა დანარჩენი ჯგუფებიც.

როცა ტრასის გამხსნელმა, მინსკელმა სპორტის ოსტატმა ი. დემენტიევმა დაშვება დაამთავრა (1.30,92), ნათელი გახდა, რომ ახალი თოვლი მაინცდამაინც დიდი სისწრაფის განვითარების საშუალებას არ იძლეოდა.

მიუხედავად ამისა, დემენტიევის შედეგი ჯერ კიროვსკელმა პირველთანრიგოსანმა, „შრომითი რეზერვების" სპორტსმენმა ვ. ლაპინმა გააუმჯობესა (1.27,18), მერე — ბაკურიანელმა სპორტის ოსტატმა, „სპარტაკის" წარმომადგენელმა ა. სტეპანიანმა (1.26,93).

სტეპანიანის მაჩვენებელი დიდხანს იყო საუკეთესო. ბაკურიანელმა სპორტის ოსტატმა რ. აკოფოვმა („ბურევესტნიკი") — 1.29,78 აჩვენა, ლენინგრადელმა სპორტის ოსტატმა ნ. სნეჟუროვმა („შრომითი რეზერვები")—1.28,67, მისმა თანაგუნდელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ა. რიაბინინმა—1.27,55. სტეპანიანის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო მეტოქეს, ბაკურიანელ სპორტის ოსტატ ი. ნასყიდაშვილს („ბურევესტნიკი") თხილამურის სამაგრი გაეხსნა და სპორტსმენი რბოლას გამოეთიშა.

სტეპანიანს უკვე გამარჯვება უნდა ეზეიმა, მაგრამ საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონმა, მოსკოველმა სპორტის ოსტატმა ა. ტორმასინმა („ბურევესტნიკი") მას სულ რაღაც 0,02 წამით აჯობა. სხვაობა თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ ზუსტმა წამმზომებმა საკითხი ტორმოსინის სასარგებლოდ გადაწყვიტეს.

გიგანტურ სლალომში ვაჟთა შეჯიბრება ამით არ დამთავრებულა. ხვალ ამავე სახეობაში დაშვება მეორედ მოეწყობა და „ლელოს" პრიზის მფლობელსაც სწორედ ორი ცდის ჯამი დაასახელებს.

ქალები რბოლაში ხვალ ჩაებმებიან. ისინიც გიგანტურ სლალომში იასპარეზებენ, ოღონდ მათთვის მხოლოდ ერთი ცდა მოეწყობა.

ო. გელაშვილი.

# პრეტენდენტთა მატჩები

### სპასკი — ბირნი 3:0

სან-ხუანი (პუერტო-რიკო). გუშინწინ სპასკი — ბირნის მატჩში ბრძოლა განახლდა. შედგა V პარტია. მეტოქეებმა სიცილიური დაცვა გაითამაშეს. ამერიკელმა დიდოსტატმა საბჭოთა მოჭადრაკე ბ. კერესის სისტემა გამოიყენა. სპასკი აქტიურად თამაშობდა ლაზიერის ფრთაზე, მაგრამ შავ მეფეზე თეთრების იერიში სულ უფრო სახიფათო ხდებოდა. სწორედ ამ დროს, 27-ე სვლაზე, სპასკი შეცდა. ბირნმა ვერ ისარგებლა მოგების შანსით და შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ეს იყო ამ მატჩში მესამე ყაიმი.

### კარპოვი — პოლუგაევსკი 1:0

მოსკოვი. შედგა მატჩის V პარტია. მეტოქეებმა, ისევე როგორც ყველა კენტ პარტიაში, ახლაც ნიმცოვიჩის დაცვა გაითამაშეს. კარპოვი (შავები) ერთსა და იმავე ვარიანტს იყენებს. პოლუგაევსკიმ თეთრების თამაში გააძლიერა და უკეთესი პოზიციაც მიიღო. მე-18 სვლაზე მას პაიკის მოგება შეეძლო, მაგრამ ხარისხის მიღება ამჯობინა. ეს არ იყო სწორი. კარპოვმა საუცხოო კონტრთამაში გაალვივა. ცაიტნოტში პოლუგაევსკი დაიბნა. მის მცდარ 31-ე სვლას კარპოვის იერიში მოჰყვა...

აი, ამ შეხვედრის ფინალი:

კარპოვი



პოლუგაევსკი

29. კe5 კd6 30. კ:d6 ე:d6 31. ლb4? ლd8 32. ე:d6 მ:d6 33. ეd1 ლg5+ 34. მფf2 მf5 35. ლf4 ლf6 36. მa4 კb3 37. ეd2 g5 38. ლb8+ მფg7 39. მb2 კd5 40. მd3 მd6 41. მf4 gf 42. ე:d5 ლb2+ 43. მფf1 f6 44. ეg5+. ყაიმი.

### მეკინგი — კორჩნოი 0:1

ოგასტა (აშშ). სპეციალისტების აზრით, კორჩნოის მატჩის V პარტია მოსაგებ პოზიციაში ჰქონდა გადადებული. მართლაც, საბჭოთა დიდოსტატმა მოიგო იგი.

### პეტროსიანი — პორტიში

პალმა-დე-მალიორკა (ესპანეთი). პეტროსიანისა და პორტიშის მეოთხე შეხვედრაც ყაიმით დამთავრდა. სხვათა შორის, მიმომხილველები იმ აზრისა არიან, რომ პეტროსიანმა ამ მატჩში მეტოქეს თავისი ნება-სურვილი მოახვია თავს. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ეს მატჩი ყველაზე ხანგრძლივი იყოს.

* * *

სურათზე: მოსკოვის ლიტერატორთა სახლი. თამაშობენ ა. კარპოვი და ლ. პოლუგაევსკი.






● არხანგელსკი, 25 იანვარი. დღეს აქ დაიწყო საერთაშორისო ტურნირი ბურთიან ჰოკეიში გაზეთ „სოვეტსკაია როსიას" პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ნორვეგიის, ფინეთის, შვეციისა და სსრ კავშირის გუნდები. პირველ მატჩში საბჭოთა ჰოკეისტებმა მშრალი ანგარიშით (5:0) დაამარცხეს ნორვეგიელები.

# გაიმარჯვეს სპარტაკელებმა

მაგიდის ჩოგბურთელები სპორტულ სეზონს მუდამ რესპუბლიკის თასის გათამაშებით იწყებენ. ასე იყო ამჯერადაც. იანვრის ბოლოს ბათუმში გამოვლინდება თასის წლევანდელი მფლობელი, მანამდე კი თბილისში, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტდარბაზში, დედაქალაქის უძლიერესი ჩოგბურთელები ფინალური შეჯიბრების საგზურს ეცილებოდნენ ერთმანეთს.

როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის ფინალში დინამოელები და სპარტაკელები გავიდნენ.

ქალთა შეხვედრაში აშკარა იყო სპარტაკელთა უპირატესობა: მ. პაპუკაშვილმა 1, ხოლო ა. სუჯაშვილმა და ს. გვილავამ 2-2 ქულა შესძინეს თავიანთ კოლექტივს და თასიც დაისაკუთრეს.

გაცილებით დაძაბულად წარიმართა ვაჟთა შეჯიბრება. აქ პირველი ქულა დინამოელებმა მოიპოვეს (გ. მელაძემ დაამარცხა საქართველოს სამგზის ჩემპიონი ა. არუთინოვი). ჯერ „დინამო" დაწინაურდა (2:1, 3:2), მაგრამ შემდეგ სპარტაკელებმა შეძლეს თანაფარდობის აღდგენა — 3:3.

ფინალის ნამდვილი მშვენება იყო სპორტის ოსტატ თ. რამაზაშვილისა („დინამო") და საქართველოს 1973 წლის ჩემპიონ ჯ. მელაძის ბრძოლა. გაიმარჯვა ამ უკანასკნელმა. სპარტაკელთა გამარჯვება დააგვირგვინა ა. გიკაშვილმა, რომელმაც გ. მელაძეს დააყრევინა ფარ-ხმალი.

მატჩის საბოლოო ანგარიშია 5:3 სპარტაკელთა სასარგებლოდ. გამარჯვებულები მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკური თასის გათამაშებაში.

ზ. ახალაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკონტროლო ნორმატივები და რესპუბლიკური ფეხბურთი

რა დასამალია, საქართველოში რესპუბლიკურ გათამაშებათა მონაწილე ფეხბურთელთა გუნდების „საშინაო“ ცხოვრებით დიდი ხნის მანძილზე არავინ დაინტერესებულა. ეს გუნდები კი (რაც უმთავრესად პირველ ჯგუფს ეხება) ცოტა უფრო სხვაგვარი ცხოვრებით ცხოვრობენ, ვიდრე ჩვეულებრივი ძირეული კოლექტივები, რამდენადაც ორგანიზებული არიან უფრო ტერიტორიული, ვიდრე საწარმოო პრინციპით. მათ უფრო ფართო უფლებები აქვთ და უმეტესწილად ჭაბუკთა გუნდებთან ერთად ერთგვარ რეზერვს წარმოადგენენ ოსტატთა ლიგისთვის. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ესენი არ არიან, უბრალოდ, ფეხბურთის მოყვარული მუშა-მოსამსახურეები, კოლმეურნეები თუ სტუდენტები, მარტო თავისი სიამოვნებისთვის რომ თამაშობენ. შემთხვევითი როდია, რომ რესპუბლიკის ჩემპიონატში გამარჯვებული ოსტატთა გუნდების II ლიგაში გადადის. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უფრო მეტად უნდა ვიყოთ დაინტერესებული ამ რეზერვის მზადების პროცესით და, საერთოდ, საშინაო ცხოვრებით. დროა ბოლო მოეღოს საქმისადმი ისეთ დამოკიდებულებას, როცა მთელი „ზრუნვა“ რესპუბლიკის ძირეულ გუნდებზე მხოლოდ შეჯიბრების კალენდრის შედგენითა და მატჩების ორგანიზაციით ამოიწურება.

ჩვენ, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის მუშაკები, უკვე რამდენიმე წელია ვემზადებით ამ მწვერვალზე იერიშის მისატანად. სამი-ოთხი წლის წინათ, გავითვალისწინეთ რა მწვრთნელთა სურვილი, ერთგვარად მოვხაზეთ დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანგარიშების ჟურნალის კონტურები. 1972 წელს ეს ჟურნალი ქართულ ენაზე გამოიცა და საერთო აღიარებაც მოიპოვა. მთელი 1973 წელი საცდელ მუშაობას დასჭირდა, ვინაიდან გავითვალისწინეთ, რომ ძირეული გუნდების მწვრთნელთა შორის წლების მანძილზე ტრადიციად იყო დამკვიდრებული თვითდინებით მუშაობა და უარყოფითი დამოკიდებულება სისტემურობისადმი, წესრიგისადმი, დოკუმენტაციის წარმოებისადმი.

მაგრამ 1974 წლიდან პირველი ლიგის ყველა გუნდი ვალდებულია გარდაქმნას სასწავლო-საწვრთნელი პროცესი რაციონალურ საფუძველზე. ეს კი შეუძლებელია ერთიანი გეგმიურ-საარიცხვო-საანგარიშგებო დოკუმენტაციის გარეშე. პირდაპირ უნდა ითქვას, მდგომარეობის გაუმჯობესებას დიდი ხნის წინათ მივაღწევდით, ჩვენი ფეხბურთის სამმართველო მეტ დაინტერესებას და ენერგიას რომ იჩენდეს ძირეულ გუნდებში საწვრთნელი პროცესის რაციონალური ორგანიზაციის საკითხში.

სამერმისოდ ვფიქრობთ, რომ ერთხელ კიდევ გავუზიარებთ ჩვენს გამოცდილებას (მორიგ რესპუბლიკურ სემინარზე) მწვრთნელებს და დავეხმარებით მიღებული დოკუმენტაციის წარმოების ტექნიკის დაუფლებაში. შემდგომში კი უკვე, ნუ გეწყინებათ, ველარავის ვაპატიებთ ამ საკითხისადმი გულგრილ, დაუდევარ დამოკიდებულებას.

1973 წელი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ პირველი ჯგუფის გუნდებში მოეწყო შეჯიბრებები ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებაში ნორმატივების ჩასაბარებლად. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, დაგვედგინა არა მარტო ფეხბურთელთა მომზადების დონე, არამედ ის ზოგიერთი ამოსავალი მონაცემი, ის ფიზიკურ-ტექნიკური ფუნდამენტი, რომელზეც იგი დაფუძნებულია.

ზოგიერთი რამ, მე ვიტყოდი, ბევრი რამ, მართლაც დავადგინეთ. ამაზე ღირს ლაპარაკი. მაგრამ ჯერ მივმართოთ შემაჯამებელ ციფრებს რესპუბლიკის მასშტაბით.

### საერთო და მჩქაროზლური ამტანობის ნორმატივები

| | 100 მ | 1500 მ | 100 მ განმეორებითი |
|---|---|---|---|
| ყველაზე მაღალი შედეგი | 11,9 | 4.00 | 11,9 |
| დაბალი | 15,2 | 8.48 | 15,5 |
| საშუალო | 12,8 | 5.36 | 13,2 |
| ნორმატივები ჩააბარა | 183 | 158 | 172 |

### ძალისმიერი მომზადების ნორმატივები

| | [illegible] | დარტყმის სიშორე: [illegible] | დარტყმის სიშორე: [illegible] | ჯამი |
|---|---|---|---|---|
| ყველაზე მაღალი შედეგი | 20 | 68 | 62 | 124 |
| დაბალი | 2 | 40 | 30 | 45 |
| საშუალო | 8,7 | 50 | 40 | 90 |
| ნორმატივები ჩააბარა | 177 | — | — | 168 |

### სპეციალური მომზადების ნორმატივები

| | 5X30 ბურთით | 30 მ ბურთით | ბურთის ტარება წინაღობებით 30 მ | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| ყველაზე მაღალი შედეგი | 20,7 | 4,0 | 6,0 | 100 |
| დაბალი | 28,0 | 6,6 | 12,0 | 40 |
| საშუალო | 24,4 | 4,6 | 8,7 | 68 |
| ნორმატივები ჩააბარა | 169 | 169 | 145 | 141 |

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ერთი უსიამოვნო ფაქტი: რამდენიმე გუნდში ჩვენ მაინც ვერ შევძელით ჩათვლის ჩატარება. ლაპარაკია „კახეთზე“, ფიზკულტურის ინსტიტუტისა და არმიის სპორტული კლუბის გუნდებზე. რა თქმა უნდა, ამაში ბრალი მიუძღვის პირველ ყოვლისა ფეხბურთის რესპუბლიკურ სამმართველოს, რომელიც ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს გულგრილად მოეკიდა. მაგრამ რა შეიძლება ითქვას თავად გუნდებზე, მწვრთნელებსა და იმ ორგანიზაციებზე, რომლებსაც ეს გუნდები ეკუთვნით? რით იმართლებენ თავს ფიზკულტურის ინსტიტუტი და ასკ? იმედი გვაქვს, რომ ამ საკითხზე იმსჯელებენ არმიის სპორტული კლუბი, ფიზკულტურის ინსტიტუტი და ამ ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრა.

ვიმეორებ, აქ რაიმე მორიგ კამპანიაზე როდია ლაპარაკი. ჩვენ ვალდებული ვართ დავნერგოთ წვრთნის რაციონალური მეთოდები, რომელთა განუყოფელ და აუცილებელ ნაწილადაც მიგვაჩნია პედაგოგიური კონტროლი — მოთამაშეთა გაწვრთნილობის დონის სისტემატური შემოწმება ტესტების საშუალებით.

განა დამაფიქრებელი არ არის ის ფაქტი, რომ არმიის სპორტული კლუბის გუნდში საცდელი შემოწმება ფაქტიურად 1500 მეტრზე რბენის გამო ჩაიშალა? მწვრთნელმა მერე ისიც კი გვისაყვედურა, რომ ჩვენ მეტისმეტად დავღალეთ ის ხუთი „ყოჩაღი ბიჭი“, რომლებმაც დიდი „რისკი“ გაწიეს და ამ დისტანციაზე გამოსვლა გაბედეს (დიდი მარათონი იყო ესეც!). ნუ დაგავიწყდებათ, აქ ჯარისკაც ფეხბურთელებზეა ლაპარაკი, ჯარისკაცი კი რის ჯარისკაცია, თუ 1500 მეტრსაც უმტკივნეულოდ ვერ გაირბენს 5 წუთსა და 16 წამში, ესე იგი რამდენადმე იმაზე ნაკლები სიჩქარით, რომლითაც მშდ კომპლექსის შესაბამისი საფეხურის ოქროს ნიშნოსანმა უნდა გაირბინოს არა 1500, არამედ 3000 მეტრი (მშდ კომპლექსის ნორმატივია 10.30, ესე იგი, 1500 მეტრზე — 5.15!)?

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ფიზკულტურის ინსტიტუტი. ჩვენ ვფიქრობთ (და იმედიც გვაქვს), ამ ინსტიტუტის გუნდი უნდა იყოს მზადების რაციონალური ორგანიზაციის ნიმუში, რომლის პრაქტიკასაც სხვები უნდა ჰბაძავდნენ. დასასრულ, ეს პრაქტიკა ისეთი უნდა იყოს, რომ მომავალ მწვრთნელთა სწორად მომზადება შეგვაძლებინოს. მაშ, ასატანია თუ არა, რომ ინსტიტუტი, პირიქით, ცუდ მაგალითს გვაძლევს?

და მაინც, რა გვიჩვენა შემოწმებამ?

ჯერ ვილაპარაკოთ რბენის საშუალო მაჩვენებლებზე მთლიანად პირველ რესპუბლიკურ ჯგუფში.

100 მეტრზე რბენა — 12,8. ეს შედეგი მიღებულ ნორმატივზე ნაკლებია და თითქმის მშდ კომპლექსის უმაღლესი ნორმების დონეზე დგას (13 წამი). ძალიან დაბალი საშუალო შედეგია!

1500 მეტრზე რბენა — 5 წუთი და 36 წამი. ეს შედეგიც ნორმატივზე დაბალია და ბევრად ჩამოუვარდება იმ სიჩქარეს, რომლითაც მშდ კომპლექსის ოქროს ნიშნოსანმა მთელი 3000 მეტრი უნდა გაირბინოს.

მაგრამ თვით ეს კუს სიჩქარეებიც კი ზღვართან მიახლოებული აღმოჩნდა და 1500 მეტრის შემდეგ ფეხბურთელებმა კვლავ 100 მეტრი გაირბინეს საშუალოდ 13,2 წამში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს იყო ოთხი მეათედით ნაკლები, ვიდრე პირველად. ეს ნიშნავს, რომ ცუდადაა არა მარტო საერთო, არამედ მჩქაროზლური ამტანობის საქმეც.

ავიღოთ ღერძზე მიზიდვა. ჩვენი ფეხბურთელები ამ ვარჯიშს საშუალოდ 8,7-ჯერ ასრულებდნენ, მაშინ, როცა მათი ასაკისთვის მშდ კომპლექსის ნორმატივებში იგი გათვალისწინებულია 11-13-ჯერ. როგორც ჩანს, მოცემულ შემთხვევაში თავი არ უნდა დავიმშვიდოთ მაღალი საშუალო ნიშნით (4) და სწორი იქნება, თუ მოთხოვნებს მშდ კომპლექსის ნორმატივებამდე მაინც გავზრდით.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ ზუგდიდის „დინამოს“ და რუსთავის „მეტალურგის“ შედეგებზე, ვინაიდან ზუგდიდელები უკვე გადავიდნენ ოსტატთა მეორე ლიგაში, ხოლო რუსთაველები ახლა ზრუნავენ ამისთვის.

როგორც ამბობენ, მაღალი შედეგების მოპოვებაში ზუგდიდის გუნდს ძლიერი წვიმა უშლიდა ხელს. მიუხედავად ამისა, როცა საუკეთესო შედეგია 12,8, ყველაზე დაბალი—15,5, საშუალო მაჩვენებლები — 13,8-14,2, ეს მოწმობს, რომ წვიმა არაფერ შუაშია და ოსტატთა ლიგაში ასეთი სისწრაფის მქონე გუნდი საერთოდ არ უნდა თამაშობდეს. მარტო წვიმას ვერ დავადანაშაულებთ იმაში, რომ ფეხბურთელები, რომლებიც ოსტატთა კლასში თამამზე აცხადებენ პრეტენზიას, 100 მეტრის გარბენას 15,5 წამს ანდომებენ. არც 1500 მეტრზე რბენის შედეგია უკეთესი (ყველაზე მაღალი — 5.30, ყველაზე დაბალი — 6.40, საშუალო — 5.58). დიახ, კვლავ გავიმეორებ, ძალიან საინტერესოა ასეთი სისწრაფისა და ამტანობის პატრონ გუნდს რა საქმე უნდა ჰქონდეს ოსტატთა კლასის ერთ-ერთ სართულზე? როგორც ჩანს, ყველაფერი ეს დამატებით უნდა შემოწმდეს და, თუ ისევ დამტკიცდა, საფუძვლიანად გადაისინჯოს გუნდის ზედა საფეხურზე გადასვლის საკითხი. ამას მოითხოვს ჩვენი ფეხბურთის პრესტიჟი და მისი კლასის ამაღლების ამოცანა.

რუსთაველები? ჩვენს ხელთ არსებული ცნობებით, ვიმეორებ, ისინი თავგამოდებით ცდილობენ მეორე ლიგაში დაბრუნებას. მაგრამ სამისოდ ზრუნვა ფეხბურთელთა სათანადო მომზადებით უნდა დაწყებულიყო. აქ კი რა შეიძლება ითქვას მომზადების დონეზე, როცა რუსთაველთა გუნდის ცამეტი წევრიდან 1500 მეტრზე რბენის დროს რვამ დისტანცია მიატოვა? ეს მაშინ, როცა ყველაზე უკეთესი შედეგი (5.25) ორიანს იმსახურებს და ბევრად ჩამოუვარდება ისედაც დაბალ ნორმას.

საერთოდ ნორმატივების ჩაბარებამ გვიჩვენა, რომ ჩვენი ფეხბურთის ყველაზე სუსტი ადგილია ფიზიკური მომზადება, განსაკუთრებით — საერთო და სპეციალური ამტანობა. ამასთან, საოცარი სხვაობა მაჩვენებლებში (100 მ—11,9-დან 15,5-მდე, 1500 — 4 წუთიდან 8,48-მდე, მიზიდვა — 2-დან 20-მდე) მოწმობს, რომ გუნდებში ფიზიკურ მომზადებას საერთოდ არ ექცევა ყურადღება. როგორც ჩანს, მომავალში უმთავრესად სწორედ ამ ასპექტზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. თუმცა არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ საერთოდ ძირეულ ფეხბურთში წვრთნის საკითხი თვითდინებაზეა მიშვებული. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს, რაც ბევრადაა დამოკიდებული ფეხბურთის სამმართველოს და რესპუბლიკური ფედერაციის მონდომებაზე.

შეიძლება შემოგვედაონ: ასე არ არის, რბენის გარდა, ყველაფერში კარგად გვაქვს საქმეო. მაგრამ საკმარისია ხელში აიღოთ რაშედენიმე ოქმი, რომ მყისვე თვალში მოგხვდებათ ზევიდან სახელდახელოდ ლაქგადასმული სადებავების კვალი. რა დასამალია, ზოგიერთი ნორმატივის ჩათვლა გუნდებში (ან ყველა ნორმატივისა ზოგიერთ გუნდში), ასე ვთქვათ, ვარდისფრად იყო შეფერადებული. მე ძალიან მეეჭვება, მაგალითად, ბურთით ჟონგლირების მონაცემების სინამდვილე. საშუალო შედეგი (8,7), ისევე როგორც უმაღლესი მაჩვენებელი (6,0), არა მგონია, სინამდვილეს შეეფერებოდეს. ყოველ შემთხვევაში იქ, სადაც მე ვმონაწილეობდი ნორმატივების მიღებაში, ბევრი საერთოდ ვერ ასრულებდა დავალებას, ხოლო, ვინც ასრულებდა, მისი საშუალო შედეგიც ძალიან დაბალი იყო. რაღა საჭიროა ეს ვარდისფერი სადებავები? ასეთი შელამაზება მხოლოდ გვავნებს, სინამდვილის დანახვის საშუალებას გვართმევს. ამაში დამნაშავენი არიან არა მარტო ადგილობრივი მუშაკები, არამედ ჩვენც, ფედერაციის წარმომადგენლები, რომლებმაც მოცემულ შემთხვევაში უადგილო „სიკეთე“ გამოვიჩინეთ.

არა, ზოგჯერ მართლაც შეიძლება შემომედაონ, მაგრამ რას იტყვის, მაგალითად, გ. ოდიშარია („ეგრისი“, ცხაკაია), რომლის გუნდშიც ვიღაცას 1500 მეტრი ვითომ 4 წუთში გაურბენია, საშუალო შედეგი კი 4 წუთი და 24 წამია? ტყუილს რომ მოკლე ფეხები აქვს?

ასეა თუ ისე, შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ნორმატივებს ბოლომდე დამუშავება და ნაწილობრივ შეცვლა სჭირდება. კერძოდ, საჭიროა ოსტატთა გუნდების მაგალითისამებრ შემოვიღოთ ძელებს შორის ბურთის ტარების ნორმატივი. შორს დარტყმის ნორმატივები უნდა დაიყოს ძლიერი (ან იქნებ, უბრალოდ, მარჯვენა) და სუსტი (მარცხენა?) ფეხით დარტყმებად. ეს ალბათ მეთოდურ მითითებაში აისახება. უმთავრესი კი ორგანიზაციული საკითხებია.

აუცილებელია მივაღწიოთ ნორმატივებისადმი (ტესტებისადმი) უფრო სერიოზულ დამოკიდებულებას ადგილობრივი ორგანიზაციებისა და გუნდების (მწვრთნელებისა და ფეხბურთელების) მხრიდან. სისტემატური შემოწმება ტესტების გზით საშუალებას მოგვცემს თვალყური ვადევნოთ მოთამაშეთა გაწვრთნილობის დონეს და ყურადღებას უფრო მეტად გაგვამახვილებინებს რიგინაში მომზადებაზე. მაგრამ ამ შემოწმებით მიზანს მაშინ მივაღწევთ, თუ იგი შექმნილი მდგომარეობის ნამდვილ სურათს გვიჩვენებს. როგორც ჩანს, ფედერაციის და სამმართველოს წარმომადგენლებს უნდა მოვთხოვოთ უფრო პრინციპული დამოკიდებულება საქმისადმი, რითაც ყოველგვარი ციფრებით მანიპულაციები გამორიცხული იქნება. ამასთან, ნორმატივების ავტორიტეტის ამაღლების მიზნით წესად უნდა შემოვიღოთ, რომ გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ მხოლოდ იმ გუნდებს, რომლებიც ნორმატივების ჩასაბარებლად შეჯიბრებებს მოაწყობენ.

ასეთია, ჩვენი პირველი დასკვნები.

ვ. მდივანი,
ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის სასწავლო-მეთოდური საბჭოს წევრი.

## გამოცდებს აბარებენ... მასწავლებლები

ჩატარდა თბილისის მასწავლებელთა XV ტრადიციული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც იყო კალათბურთი, ჭადრაკი, ტყვიის სროლა, შაში, ცურვა და ფრენბურთი.

დედაქალაქის რაიონების წარმომადგენლები 10 დღის მანძილზე იბრძოდნენ განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი თასის მოსაპოვებლად.

მთავარი პრიზი და გუნდური გამარჯვება კალინინის სახელობის რაიონის კოლექტივმა მოიპოვა, II ადგილი დაიკავეს ლენინის, III — ორჯონიკიძის რაიონების წარმომადგენლებმა.

ტურნირმა ცხადყო, რომ სპორტი მასწავლებელთა შორის დიდად პოპულარულია. ვფიქრობთ, შემდგომში სპარტაკიადის პროგრამა უნდა გაიზარდოს უმთავრესად მძლეოსნობის ხარჯზე. საჭიროა, აგრეთვე, სხვა სახის სპორტულ ღონისძიებათა ჩატარება მასწავლებლებს შორის. ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სპორტულ ორგანიზაციებს, განათლების განყოფილებებს.

დ. ხვისტანი.



გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში დიდ პატივს სცემენ ფიზკულტურასა და სპორტს. სექციებში გაერთიანებულია სტუდენტთა უმრავლესობა.

სურათზე: ძელზე ვარჯიშობს გეოგრაფია-ბიოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი ი. დურგლიშვილი. მის ვარჯიშს თვალს ადევნებს ფიზაღზრდის მასწავლებელი ს. ვაშაკიძე.

გ. სანაიას ფოტო.

# სად, როდის, როგორ...

1974 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის 38 მატჩი ჩატარდება გფრ-ის ქალაქებისა და დასავლეთ ბერლინის 9 სტადიონზე. გახსნა, როგორც ცნობილია, შედგება ხუთშაბათს — 13 ივნისს, ხოლო დახურვა — კვირას, 7 ივლისს.

16 გუნდის მატჩები 4 ჯგუფში ჩატარდება ერთწრიანი სისტემით. თავიანთ ჯგუფებში პირველ 2 ადგილზე გასულნი ითამაშებენ ჩემპიონატის მეორე ეტაპზე და ეს 8 გუნდი კვლავ დაიყოფა 2 ჯგუფად — „ა" და „ბ" მეოთხედფინალურ ჯგუფებად, სადაც გათამაშება, აგრეთვე, ერთ წრედ ჩატარდება.

„ა" ჯგუფში მოხვდებიან I და III ჯგუფების გამარჯვებულნი, აგრეთვე II და IV ჯგუფებში მეორე ადგილებზე გასულნი. დანარჩენი 4 გუნდი (შებრუნებული თანმიმდევრობით) ითამაშებს პარალელურ, „ბ" ჯგუფში.

დაბოლოს, „ა" და „ბ" ჯგუფებში გამარჯვებულნი ერთმანეთს შეხვდებიან ფინალურ მატჩში, რომელიც გამოავლენს მსოფლიო ჩემპიონს — ფიფა-ს ახალი თასის მფლობელს. ამავე ჯგუფებში II ადგილებზე გასული გუნდები ერთმანეთს შორის გაითამაშებენ საერთო III ადგილს.

უშუალოდ ტრიბუნებიდან ბრძოლათა თვალისდევნება შეუძლია 2.192.000 მაყურებელს, აქედან ბილეთების თითქმის ნახევარი გათვალისწინებული იყო გფრ-ის მცხოვრებთათვის, რომელიც გაიყიდა ძალიან სწრაფად, ჯერ კიდევ შარშან აპრილში. დანარჩენი ბილეთები განკუთვნილია ტურისტებისთვის.

ექსპერტები აცხადებენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებისთვის ყალბი ბილეთების გაკეთება შეუძლებელია, მაგრამ „შავ ბაზარს" თავისი სიტყვა ჯერ კიდევ არ უთქვამს. საორგანიზაციო კომიტეტმა ისიც გამოაცხადა, რომ ბილეთის დამკარგავი ინარჩუნებს შანსს მოხვდეს სტადიონზე, ე. ი. მიიღოს ბილეთის დუბლიკატი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ემახსოვრება თავისი ბილეთის სექტორი და ნომერი. თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ ეს პროცედურა ისეთი რთული იქნება, რომ დანაკარგის კომპენსირება დიდ სიძნელეებს გამოიწვევს.

დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული ადგილების გამოყოფა პრესისთვის. კორესპონდენტებისთვის ჯერჯერობით განკუთვნილია 4000 ადგილი ე. ი. ორჯერ მეტი, ვიდრე 1970 წელს მექსიკაში. ფოტოკორესპონდენტებზე მოსულია 700 განაცხადი, მათგან მხოლოდ მცირე ნაწილს შეეძლება გასვლა უშუალოდ სათამაშო მინდორზე.

ფეხბურთელები და მათთან ერთად მაყურებლებიც დაზღვეული არიან უბედური შემთხვევებისგან. სადაზღვევო ფული შედის ბილეთის საფასურში. როგორც წერენ, ყველაზე უფრო ძვირად შეფასებულია გფრ-ის კაპიტნის ფ. ბეკენბაუერის სადაზღვევო პოლისი.

**მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე** (79.000 ადგილი) ჩატარდება IV ჯგუფის 3 მატჩი (იტალია, პოლონეთი, არგენტინა, ჰაიტი). 6 ივლისს აქ შედგება მატჩი III ადგილისთვის, ხოლო 7 ივლისს — ფინალი.

დასავლეთ ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე (93.500 ადგილი) ითამაშებენ I ჯგუფის გუნდები (გფრ, გდრ, ავსტრალია, ჩილი).

**მაინის ფრანკფურტის „ვალდშტადიონი"** რეკონსტრუქციის შემდეგ იტევს 66.000 მაყურებელს. აქ ითამაშებენ II ჯგუფის გუნდები—ბრაზილია, შოტლანდია, ზაირი და იუგოსლავია-ესპანეთს შორის გამარჯვებული. აქვე შედგება „ბ" მეოთხედფინალური ჯგუფის 2 მატჩი.

**დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონზე"** (60.000 ადგილი) გაიმართება III (ურუგვაი, ჰოლანდია, ბულგარეთი, შვეცია) და II ჯგუფების გუნდების რამდენიმე მატჩი, აგრეთვე „ა" მეოთხედფინალური ჯგუფის შეხვედრები.

**„პარკენშტადიონი"** გელზენკირხენში სიდიდით მესამეა გფრ-ში — 70.600 ადგილი. აქ ითამაშებენ ბრაზილიელები, აგრეთვე „ა" მეოთხედფინალური ჯგუფის გუნდები.

**„ფოლკსპარკშტადიონი"** ჰამბურგში 66.000 ადგილით სპეციალურად მსოფლიო ჩემპიონატისთვისაა აგებული. აქ ითამაშებენ I ჯგუფის გუნდები, კერძოდ, გფრ-ის ნაკრები.

**ჰანოვერის „ნიდერსაქსენშტადიონი"** იტევს 63 ათას მაყურებელს. აქ შედგება II ჯგუფისა და „ა" მეოთხედფინალური ჯგუფის გუნდების 4 მატჩი.

5 მატჩი გაიმართება **დიუსელდორფის „რაინშტადიონზე"** (70.000 ადგილი). იგი მიიღებს IV ჯგუფის მონაწილეებს, აქვე ჩატარდება „ბ" მეოთხედფინალური ჯგუფის მატჩები.

**შტუტგარტის „ნეკარშტადიონზე"** (70.000 ადგილი) ითამაშებენ IV ჯგუფის, აგრეთვე, „ბ" მეოთხედფინალური ჯგუფის გუნდები.

## მინი-ფეხბურთი ოსტატებისთვის

მინი-ფეხბურთი, ე. ი. ფეხბურთი მცირე ზომის მოედანზე, მტკიცედ დამკვიდრდა როგორც უცხოეთის, ისე ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო პრაქტიკაში. ევროპის მრავალ სახელმწიფოში იგი არა მარტო ოსტატთა წინასასეზონო მზადების საშუალებაა, არამედ დამოუკიდებელ სანახაობას წარმოადგენს, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს მაყურებელთა შორის. ასეთი შეჯიბრებები მოეწყო ჩვენშიც — ტაშკენტში, ფრუნზეში, ჩელიაბინსკში, იაროსლავლში. ტურნირები ეწყობა თბილისშიც, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ბავშვთა გუნდებს შორის, ეს თამაშები კი ფეხბურთის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს.

გუშინ მოსკოვში დაიწყო ახალი შეჯიბრება მინი-ფეხბურთში ადგილობრივი გუნდების — „სპარტაკის", „ტორპედოს", ცსკა-ს და „ლოკომოტივის" მონაწილეობით, რომელიც 3 დღეს გასტანს.

ლენინგრადში კი საქალაქთაშორისო ტურნირი 4 გუნდის მონაწილეობით (ადგილობრივი „ზენიტი" და „დინამო", კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი", კალინინის „ვოლგა") უკვე დამთავრდა. ეს იყო ლენინგრადის ფეხბურთის ფედერაციის პრიზის გათამაშება, რომელმაც გამარჯვება მოუტანა დინამოელებს — 5 ქულა 6 შესაძლებლიდან. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ „ზენიტი", „ვოლგა", „კრილია სოვეტოვი".

## ორ ქალაქში

მოსკოვსა და სოჭში მიმდინარეობს უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის II წრის მატჩები.

გთავაზობთ გათამაშების ცხრილს 14 ტურის შემდეგ.

| | თ. | მ. | წ. | ხ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ლენ.) | 14 | 12 | 2 | 877—711 | 12 |
| „ურალმაში" | 14 | 11 | 3 | 877—761 | 11 |
| „სპარტაკი" (მოსკ. ოლ.) | 14 | 11 | 3 | 923—873 | 11 |
| „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) | 14 | 8 | 6 | 867—830 | 8 |
| „დინ." (მ.) | 14 | 8 | 6 | 893—787 | 8 |
| „დინ." (კ.) | 14 | 8 | 6 | 884—836 | 8 |
| ტტტ | 13 | 7 | 6 | 779—768 | 7 |
| „კიბირკშ." | 14 | 7 | 7 | 816—840 | 7 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 13 | 3 | 10 | 717—788 | 3 |
| „სერპ ი მოლოტი" | 14 | 3 | 11 | 757—842 | 3 |
| „სტროიტ." | 14 | 3 | 11 | 769—945 | 3 |
| „ბურევესტნიკი" (ლენ.) | 14 | 2 | 12 | 730—908 | 2 |

● **ვოლგოგრადი,** 25 იანვარი. აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ახალი სპორტის სასახლე, რომელიც 5200 მაყურებელს იტევს. ახალი სპორტული ბაზის მთავარ სარბიელზე შეიძლება მოეწყოს დიდი მასშტაბის შეჯიბრებები ჰოკეიში, ჩოგბურთში, ფიგურულ სრიალში და სპორტის სხვა სახეობაში.

● **პრაღა,** 25 იანვარი. დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის ღია ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. ქალთა წყვილების ფინალში იმარჯვეს იაპონელმა სპორტსმენებმა — ზ. ტაკახასიმ და მ. ხამადამ, რომლებმაც გადამწყვეტი ბრძოლა მოუგეს (3:0) ზ. რუდნოვასა და ე. ანტონიანს. საბჭოთა გუნდი გამოდიოდა ვაჟთა ფინალშიც. ს. გომოზკოვმა ორივე პარტია მოიგო, ა. სტროკატოვმა — წააგო. საბჭოთა წყვილმა — ს. გომოზკოვმა და ს. სარხოიანმა მარცხი იწვნიეს. მათ მოუგეს იუგოსლავიელებმა, დ. შურბეკმა და ა. სტიპანჩიჩმა— 3:2.

## საჩოგბურთო კორტებზე

როანოკი (ვირჯინიის შტატი, აშშ). აქ გამართულ ტურნირში ამერიკელმა ჯ. კონორსმა ფინალში დაამარცხა კ. მაილერი (გფრ) — 6:4, 6:3.

სან-ფრანცისკო. დიდი საერთაშორისო ტურნირის გადამწყვეტ შეხვედრაში ბილი-ჯინ კინგმა (აშშ) დაამარცხა თანამემამულე კ. ევერტი — 7:6, 6:2. შემდეგ მეტოქეები გაერთიანდნენ და ქალთა წყვილების ფინალში სძლიეს ავსტრალიელ კ. მელვილსა და ფრანგ ფ. დიურს — 6:4, 6:2.

ოკლენდი (ახალი ზელანდია). ქვეყნის ღია ჩემპიონატის გადამწყვეტ შეხვედრაში ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა ი. გულაგონგმა მოუგო ამერიკელ პ. მაიკლს — 6:4, 6:4.





## მარად ტრაბახა ალი და ფრთხილი ფრეზიერი

ისტორია ამ მატჩის, რომელიც ხვალ უნდა ჩატარდეს ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში", 1971 წლის 8 მარტს დაიწყო. მაშინდელმა მსოფლიო ჩემპიონმა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის ჯო ფრეზიერმა 15 რაუნდიან ბრძოლაში დაამარცხა მუჰამედ ალი, რომელიც ყველა დროის საუკეთესო მოკრივედ მიაჩნდათ.

მაგრამ ფრეზიერს ტახტის შენარჩუნება ერთობ გაუჭირდა. ერთი წლის შემდეგ იგი შეხვდა ახალგაზრდა მოკრივე ჯორჯ ფორმენს და მწარედ დამარცხდა: 6 ნოკდაუნის შემდეგ არბიტრმა შეწყვიტა ბრძოლა და გამარჯვება ფორმენს მიაკუთვნა. იმ დღეს ფორმენზე არანაკლებ ბედნიერი იყო დამარცხებული ჩემპიონის ძველი მეტოქე მუჰამედ ალი.

თუმცა... ალის სიხარულიც ხანმოკლე გამოდგა. სულ მალე ისიც დამარცხდა კენ ნორტონთან 12-რაუნდიან ბრძოლაში.

ახე დაკარგეს ოფიციალური ტიტულები პროფესიული რინგის აღიარებულმა ვარსკვლავებმა მუჰამედ ალიმ და ჯო ფრეზიერმა. მაგრამ მათი პირადი ურთიერთობა ამით არ შემწყდარა. მათ კვლავ ჰქონდ ღლესავით ხძულთ ერთიმეორე და შემთხვევას არ უშვებენ, რათა დაამცირონ ერთმანეთი გულშემატკივრების თვალში.

ახლა კი, როცა ბოლოს და ბოლოს დადგინდა ალისა და ფრეზიერის განმეორებითი შეხვედრის თარიღი, მეტოქეებმა ახალი ძალით, ახალი ენერგიით შეუტიეს ერთმანეთს. ზეპირ პაექრობაში ინიციატივას, როგორც ყოველთვის, მუჰამედ ალი ინარჩუნებს. იგი თითქმის ყოველდღე კეკლუცობს მიკროფონის წინ და აუასგვარ მუქარას უთვლის მეტოქეს.

— ვინ გაიმარჯვებს 28 იანვრის ბრძოლაში? — ეკითხებიან ალის ჟურნალისტები.

— ცხადია, უძლიერესი — მუჰამედ ალი.

— რატომ გგონიათ, რომ ამჯერად დაამარცხებთ ფრეზიერს?

— იმიტომ, რომ ასეთ კარგ ფორმაში არასდროს ვყოფილვარ.

ალის მწვრთნელები და სპარინგ-პარტნიორები ამტკიცებენ, რომ მან მართლაც დაიკლო წონაში, უფრო მოძრავი გახდა და მთლიანად აღიდგინა დარტყმის სიძლიერე.

ალის არ უყვარს, როცა 1971 წლის 8 მარტის ამბებს ახსენებენ. იგი ფიქრობს, რომ ის საბედისწერო ბრძოლა მოიგო, მაგრამ მსაჯებმა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვეს.

ფრეზიერი იშვიათად ხვდება ჟურნალისტებს და მომავალი ბრძოლის თაობაზე არაფერს ამბობს. იგი მეტწილად თავისი მზადების შესახებ უყვება და აცხადებს: მთავარ მიზანს როგორც ეტყობა, მივაღწიე: წონაში იმდენი დავიკელი, რამდენიც დაგეგმილი მქონდაო.

ალი — ფრეზიერის მომავალი მატჩი სპორტის გულშემატკივართა ყურადღების ცენტრშია. მათ აინტერესებთ მატჩის ტექნიკური მხარე. მეტოქეებიც მხოლოდ და მხოლოდ ამ აზრით არიან შეპყრობილი.

ორგანიზატორები კი.., ისინი სულ სხვა შედეგის მოლოდინში არიან. „ტოპ რენკ ინკორპორეიშნის" პრეზიდენტს ბობ არუმს, რომელმაც ამ ბრძოლის ტელეგადაცემის მონოპოლიური უფლება მიიღო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მთელს მსოფლიოში (მათ შორის სსრ კავშირშიც) მოსვენებას არ აძლევს პირველი ორთაბრძოლის წმიდა შემოსავალი, რომელიც 9 მილიონ დოლარს შეადგენდა. არუმი დარწმუნებულია, რომ ამ რეკორდს იგი უსათუოდ გადააჭარბებს და ამიტომაც ხალისით უთმობს ტელეობიექტივს ალისაც და ფრეზიერსაც.

მაგრამ სიტყვიერი ბრძოლის ვადები უკვე ამოიწურა. ხვალ „მედისონ სკვერ გარდენის" რინგზე უნდა გადაწყდეს, ვინ უფრო ძლიერია: მარად ტრაბახა მუჰამედ ალი, თუ ზედმეტად ფრთხილი ჯო ფრეზიერი.

• • •

სურათებზე: მარცხნივ— ჯო ფრეზიერი რეკლამის მიზნით არ ერიდება ცოცხალი მანეკენის როლს მოდების სახლში; მარჯვნივ — მუჰამედ ალი წვრთნის დროს.

PRZEGLAD SPORTOWY · Sport · SPORTSKE NOVOSTI · Népsport · sportowiec · Советский спорт

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ზაგალოს „შტაბი"

ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის პრეზიდენტმა ჟ. აველანჟმა განაცხადა, რომ სპორტული საზოგადოებრიობა უკმაყოფილოა ბრაზილიის ნაკრების მზადების დონით და მისი შედეგებით ევროპაში უკანასკნელი ტურნეს დროს.

აველანჟმა განაცხადა, რომ ნაკრების შემადგენლობა გადახალისდება, ახლა კი გარკვეული ცვლილებები მოხდა ხელმძღვანელობაში. უფრო სწორად, ზაგალოს რამდენიმე თანაშემწე დაუნიშნეს.

„ფლუმინენსეს" მწვრთნელი პერეირა ამიერიდან მთავარი პასუხისმგებელი იქნება გუნდის ფიზიკური მომზადებისთვის. აქამდე ეს საკითხი ევალებოდა პროფესორ შიროლს, რომელიც ახლა პერეირას დაექვემდებარება. პერეირას ხელქვეით იმუშავებს, აგრეთვე, ქ. კუტინიო, ზაგალოს ერთ-ერთი თანაშემწე.

თუ პერეირა, შიროლი და კუტინიო მხოლოდ მოთამაშეთა ფიზიკურ მომზადებას ხელმძღვანელობენ, „ვასკო და გამას" მწვრთნელს მ. ტრავალინის სხვა ფუნქციები ექნება — იგი ზაგალოს დაეხმარება სელექციისა და სხვადასხვა ტაქტიკური ვარიანტების გამომუშავების საკითხში.

ასე რომ, ზაგალოს გარშემო უკვე სოლიდური „შტაბი" შეიქმნა. ეს კია, რომ თვით ზაგალო სრულიადაც არ არის აღფრთოვანებული ამ შტაბის არსებობით.

### სოფიის „სპორტის" ფურცლებზე

სოფიის გაზეთმა „სპორტმა" ამას წინათ გამოაქვეყნა წერილი, რომელიც საბერძნეთ—იუგოსლავიის მატჩთან დაკავშირებულ „ფათერაკებს" ეხება. აი, ნაწყვეტი ამ წერილიდან.

„საბერძნეთის ფედერაციამ გადაწყვიტა დასაჯოს თავისი ფეხბურთელები... იუგოსლაველებთან წაგებისთვის. ოფიციალური საბაბი სუსტი თამაში გახლავთ, სინამდვილეში კი საკითხი სხვაგვარად დგას. როგორც გაზეთი „აკროპოლისი" იუწყება, ფედერაციის ხელმძღვანელებმა ესპანელებისგან დიდი თანხა მიიღეს, რათა მატჩის შედეგზე ემოქმედათ, ამის გამო მოთამაშეებს გვარიანი ჯილდოებიც აღუთქვეს, თუ ერთი ბურთის განსხვავებით წააგებდნენ (ასეთ შედეგს ესპანელები ფინალში გაჰყავდა). ფიფა-ს მეთვალყურე ათენში თვით ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი ს. როუზი იყო, რომელიც შემჩნეულია კულისებს მიღმა კომბინაციებში, მთავარი მსაჯი კი, ჩვეულებრივ „როუზის კაცად" წოდებული, — დასავლეთგერმანელი არბიტრი ქ. ჩენჩერი".

როგორც „სპორტი" იუწყება, ჩენჩერმა 31-ე წუთზე მინდორი დაატოვებინა იუგოსლაველთა ცენტრალურ თავდამსხმელს ბაევიჩს, თუმცა ამ მომენტისთვის მას არც ერთი შენიშვნა არა ჰქონდა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მატჩის ბოლო წამებზე, როცა ანგარიში იყო 3:2 სტუმრების სასარგებლოდ, იუგოსლაველმა კარასიმ მეთოხე, გადამწყვეტი ბურთი გაიტანა ბერძნების კარში.

### ძოფის იშვიათი მიღწევები

917 წუთის განმავლობაში იტალიის ნაკრების მეკარე დინო ძოფს გოლი არ გაუშვია. ეს იშვიათი მიღწევაა საერთაშორისო ფეხბურთის ისტორიაში. 1972 წლის 20 სექტემბერს იტალიელებმა ტურინში ანგარიშით 3:1 დაამარცხეს იუგოსლაველები და ძოფის კარში გოლი გავიდა 73-ე წუთზე. საყურადღებოა, რომ ამ გოლის ავტორი იყო არა რომელიმე იუგოსლაველი, არამედ თვით იტალიელთა მცველი აგროპი, რომელმაც უწყინარ სიტუაციაში მეკარისთვის სრულიად მოულოდნელად ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და... იტალიის ნაკრების დატოვებაც მოუხდა.

ძოფი, რომელიც ახლა ყოველგვარი ეჭვის გარეშე მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მეკარედ ითვლება, დაიბადა 1942 წლის 28 თებერვალს. იგი დიდ ხანს იტალიის ნაკრებში ადგილს იყოფდა მეორე შესანიშნავ მეკარე ალბერტოზისთან, ახლა კი უდავოდ № 1 მეკარეა და მსოფლიო პირველობისთვის ემზადება.

### ჭადრაკი

#### მოკრივის სევდა

ოქროს მედლის მოპოვების დიდი იმედით გაემგზავრა თავის დროზე მიუნხენში ამერიკელი მოკრივე დუან ბობიკი. მაგრამ სპორტსმენს ეს იმედი გაუცრუვდა. „ხუთ წუთში გმირიდან მაწანწალად ვიქეცი" — თქვა დუანმა კუბელ ტეოფილო სტივენსონთან შეხვედრის შემდეგ. ამერიკელი მოკრივე მეოთხედფინალშიც კი ვერ გავიდა. მას შემდეგ დიდმა სევდამ და უიმედობამ შეიპყრო ბობიკი, ბოლოს კი ეს პრობლემა წმინდა ამერიკული ხერხით გადაწყვიტა — პროფესიონალებში გადავიდა.

#### კლუბის სამაგალითო წევრი

კლუბ „ბარსელონის" მიმართ მისი ერთ-ერთი წევრი მარჩიალი უჩვეულო მზრუნველობას იჩენს. მას ხუთი შვილი ჰყავს (ხუთივე ბიჭია!), რომლებიც ყოველდღე კლუბის ფორმაში გამოწყობილი დასდევენ ბურთს. ყველა მათგანს თავდამსხმელობა სურს და, თუკი ბურთის გატანის ტალანტიც მემკვიდრეობით დაჰყვათ მამისგან, ვაი იმ გუნდებს, რომლებსაც რამდენიმე წლის შემდეგ „ბარსელონასთან" ექნებათ საქმე!



ობერჰოფში (გდრ) დამთავრდა ბიატლონისტთა საერთაშორისო შეჯიბრება. როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

ინდივიდუალური რბოლა სროლით მოიგო მსოფლიო ჩემპიონმა ა. ტიხონოვმა.

25 თებერვლიდან 8 მარტამდე მინსკში ბიატლონისტთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება.

სურათზე: ესტაფეტა 4×7,5 კმ-ზე. ესტაფეტას გადასცემენ გამარჯვებული საბჭოთა გუნდის წევრები: ა. უშაკოვი (მარცხნივ) და მ. პაავო.

ცენტრალბილდ — საკდესის ტელეფოტო.

## მუსიკის თანხლებით

მუსიკის თანხლებით გაცილებით უკეთესი და სასიამოვნოა ბორცვებიდან თხილამურებით დაშვება! — გვარწმუნებს ზამთრის სპორტული მოდის ერთ-ერთი ახალი გამოგონების რეკლამა. ამ ქალიშვილის დამცველ სათხილამურო სათვალეში ჩამონტაჟებულია მიკრორადიომიმღები, საიდანაც მუსიკა ისმის, ხოლო კასეტა ქამართან მაგრდება. ამ მინიატურული „რადიოცენტრის" გამომგონებლებს — ავსტრიელ სპეციალისტებს არც ახალბედა მოთხილამურეები დავიწყებიათ. ამ სათვალის წყალობით გამოუცდელ სპორტსმენებს შეუძლიათ რბოლის დროს მოისმინონ სპეციალისტის რჩევა-დარიგებანი, ხოლო ოსტატებისთვის, როგორც ვთქვით, გაცილებით სასიამოვნო იქნება მთიდან მუსიკის თანხლებით დაშვება.



## შვილები — მამების გზით

ჭაბუკ სამბისტთა რესპუბლიკურ პირად-გუნდურ პირველობაში მონაწილეობდა 10 გუნდი. თბილისში ნაკრები კოლექტივები ჩამოიყვანეს აჭარამ, სამხრეთ ოსეთმა, ქუთაისმა, კასპმა, დუშეთმა, გორმა, რუსთავმა, ზესტაფონმა, გარდაბანმა (ასპარეზობის ფავორიტად თბილისის გუნდი ითვლებოდა).

3 დღის მანძილზე 200-ზე მეტი ჭაბუკი სამბისტი ძალისა და ენერგიის დაუზოგავად იბრძოდა გამარჯვებისთვის. მონაწილეთა სიმრავლემ, უდავოა, შნო და ლაზათი შემატა ტურნირს. მისასალმებელია, რომ ჭაბუკთა სამბოს ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციები ყურადღებით ეკიდებიან.

განსაკუთრებით კარგად მომზადებული სპორტსმენები ჰყავდათ თბილისს, ქუთაისსა და კასპს. ქებით უნდა მოვიხსენიოთ ახალგაზრდა, მზარდი სპორტსმენები — თ. არაბული, შ. კაციაშვილი, ნ. მუხიაშვილი, ჰ. ტოტოშვილი, ჰ. ჟამუტაშვილი და სხვები.

საყურადღებოა ერთი ასეთი დეტალიც: ბევრმა წარსულში ცნობილმა სამბისტმა დიდი სარბიელისკენ გაუკაფა გზა თავის შვილებს. მაგალითად, ლავრენტი კაციაშვილის ვაჟმა შოთამ I ადგილი დაისაკუთრა 70 კგ წონითს კატეგორიაში, ხოლო ზაქრო მუხიაშვილის ვაჟი ნუკრი III ადგილზე გავიდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, გუნდური პირველობა თბილისელებმა დაისაკუთრეს. II ადგილი ხვდა ქუთაისის კოლექტივს, III— გორის გუნდს.

წონითი კატეგორიების მიხედვით საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: თ. არაბული (თბილისი), მ. ბითაძე (გორი), ჰ. ჟამუტაშვილი (გარდაბანი), ვ. კულუმბეგოვი (თბილისი), შ. კაციაშვილი, ს. ჩერტკოევი (ორივე —კასპი), ჰ. ტოტოშვილი, ა. რუხაშვილი, ზ. დამადაევი (ყველა — თბილისი), ვ. ბაგაევი (სამხრეთ ოსეთი), ჰ. ლოლაშვილი (თბილისი).

მისასალმებელია ზესტაფონელ სამბისტთა წარმატება, რომლებსაც რამდენიმე საპრიზო ადგილი ერგოთ. ამ ქალაქში ახალგაზრდა მოჭიდავეთა აღზრდის საქმეს ემსახურება ენთუზიასტი მწვრთნელი ჯ. ჯანიაშვილი.

ტურნირი ახალი წესებით ჩატარდა.

ძ. ნინიაშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

## ჯეკ დემპსი და მისი რესტორანი

„ჯეკ დემპსიმ თავისი რესტორანი უნდა დახუროს!" — ამ სენსაციურმა ცნობამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ნიუ იორკში. სახლის მეპატრონეს, რომელთანაც დემპსის 1988 წლამდე ჰქონდა დადებული ხელშეკრულება, კონტრაქტის გაწყვეტა სურს. სასამართლოს დადგენილება უახლოეს ხანებში გამოქვეყნდება.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი დღეს უკვე 78 წლისაა, დაავადებულია ორივე ფეხის ართრიტით. დემპსიმ უკანასკნელი ბრძოლა 46 წლის წინათ ჩაატარა რინგზე, მაგრამ დღესაც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პიროვნებაა ამერიკელ სპორტსმენთა შორის. იგი 7 წლის განმავლობაში (1919 წლიდან 1926 წლამდე) მბრძანებლობდა რინგზე, როგორც აბსოლუტური მსოფლიო ჩემპიონი, დღეს კი მისი ასპარეზი გაცილებით მცირეა. „ჯეკ დემპსის რესტორანში", ბროდვეიზე, სადაც ცხოვრება დღედაღამ დუღს, მუდამ შეიძლება ერთ დროს ცნობილი ათლეტის ნახვა. „საქმეები ურიგოდ არ მიდის. სასაყვედურო არაფერი მაქვს, სიბერის უამსაც მაქვს ჩემი საზრუნავი და საფიქრალი" — ამბობს დემპსი. მისი ყოველდღიური სამუშაო მრავალმხრივია: სტუმრების მიღება ყოველ საღამოს, საუბარი, წარსულის გახსენება, ავტოგრაფების გაცემა (დაახლოებით 500 ავტოგრაფი ერთ საღამოს) და სამახსოვრო სურათების გადაღება.

„ჰელო, ჯეკ, როგორა ხარ?" ექს-ჩემპიონი ყოველთვის გახარებულია, როცა „ჰელოთი" მიმართავენ. მისი ერთი მეგობარი ამბობს: „ჯეკი ამ ჰელოთი ცხოვრობს" და დასძენს: „დღეს იგი, ისევე როგორც მისი გამოსვლები რინგზე, ლეგენდად იქცა. მახსოვს ჯეკის ბრძოლა ტოლედოში 1919 წლის 4 ივნისს, როდესაც მან „დიდ მოლაყბეს" ჯესი ვილარდს გვირგვინი ჩამოართვა; მახსოვს, რა დარტყმებით უმასპინძლდებოდა იგი კარპანტიეს, ფირპის, ტუნეის...".

დემპსის თვალები უბრწყინავს, როცა ყოველივე ამას ისმენს. კითხვაზე, შეხვდებოდით თუ არა დღეს რინგზე ვინმესო, ჯეკი სწრაფად, სხარტად უპასუხებს: „ჩემს ტოლს? რასაკვირველია, დიდი სიამოვნებით".

თავისი შეხვედრების ზუსტ თარიღებს დემპსი ვერ იგონებს. ვერც იმ დარტყმებს იხსენებს, რომლებმაც იგი აიძულა თავი დამარცხებულად ეცნო. „ყველაფერი ეს სათვალავში ჩასაგდები არაა. მთავარია შედეგი და, რასაკვირველია, ფული".

ტ. რიკარდმა, 1921 წლის 2 ივნისის მატჩის ორგანიზატორმა, ჯერსეი-სიტიში მილიონები გააკეთა, როცა დემპსიმ მეოთხე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო ფრანგი კარპანტიე. 1926 წლის 23 სექტემბერს იმავე რიკარდმა ფილადელფიაში ათეულ ათასობით მაყურებელს მოუყარა თავი და კვლავ მილიონები გააკეთა, დემპსი კი ამ ბრძოლაში დამარცხდა ტუნეისთან. რევანშმა ჩიკაგოს სტადიონზე გაქნილ ანტრეპრენიორს სარეკორდო შემოსავალი მისცა.

დემპსის ბოლო დამარცხება, 1926 წელს დიდი სარბიელიდან წასვლას ნიშნავდა. დღეს იგი სიგარითა და გაზიანი წყლით სავსე ჭიქით ხელში საუბრობს იმ საშინელ მეშვიდე რაუნდზე, რომელშიც მსაჯმა დეივ ბარიმ ჩემპიონს საბედისწერო „10" დაუთვალა. საუბარს დემპსი შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „გულშემატკივრებს ეს მეშვიდე რაუნდი უფრო დიდხანს ემახსოვრებათ, ვიდრე ყველა სხვა ეპიზოდი ჩემი ცხოვრებიდან".

თარგმანი „ფოლკსშტიმედან" (ავსტრია).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55. სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება—99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება—93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია— 93-97-58, გამომშვები—93-93-81, კორექტორები — 93-97-49.